ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95.95222733**
თარიღი:**30/09/2022**

ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე წინადადების მოწონებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის მიერ ინიციირებულ წინადადებას „ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის შემუშავების თაობაზე მოწონების შესახებ“.

2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი